საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 24 07/05/2018

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 04 იანვრის #50/1 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63 - მუხლის საფუძვლზე
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა

მუხლი 1.შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის

04 იანვრის #50/1 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ

საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების ინსტრუქციის დამტკიცების

შესახებ“

1. შეტანილ იქნეს ცვლილება დადგენილებით დამტკიცებულ #1 დანართში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (თან ერთვის):

მუხლი 2 განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დანართი #1
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების ინსტრუქცია

მუხლი 1. წინამდებარე ინსტრუქცია არეგულირებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს და ვრცელდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების საკითხებზე.

1. აღნიშნული ინსტრუქციით სამართლებრივად რეგულირდება გეოგრაფიული ობიექტების, ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნის, ამა თუ იმ ზონის, მიკრორაიონის, წყაროს, მოედნის, პროსპექტის (გამზირის), გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადის, ბულვარის, ხეივნის, სკვერის, ბაღის, პარკის, ტყე-პარკის, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის, სასაფლაოს, პანთეონის, შენობა-ნაგებობის, სატრანსპორტო სისტემის ობიექტის (შემდგომში – ობიექტის) სახელდების საკითხები.

2. გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ შესაბამისი ინიციატივა წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3. გეოგრაფიული ობიექტების სახელდების თაობაზე ინიციატივის წარდგენაზე უფლებამოსილია :
ა)მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისია და ფრაქცია;
ბ)შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის ამომრჩეველთა
1%.

4. ინიციატორი ვალდებულია წარმოადგინოს საინიციატივო ჯგუფის წევრების შესახებ ინფორმაცია (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, ტელეფონის ნომერი და ხელმოწერა).

5. გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარდგენილი ინიციატივაში სასურველია მითითებული იყოს, მიმართვის ავტორის აზრით, თუ რომელ ობიექტს რა სახელწოდება უნდა მიენიჭოს. მიმართვა უნდა შეიცავდეს შესაბამის დასაბუთებას. მიმართვა უნდა პასუხობდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის
78-ე მუხლით გათვალისწინებულ, ადმინისტრაციული განცხადებისათვის საჭირო მოთხოვნებს.

6. ობიექტის სახელდებასთან დაკავშირებული, საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხის საკრებულოში წინასწარი მომზადება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობითა და საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით.

7. სახელდებასთან დაკავშირებით საკრებულოში შემოსულ წერილობით ინიციატივას განიხილავს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის ასევე ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია .

8. კომისია ვალდებულია გეოგრაფიული ობიექტისათვის სახელის მინიჭების, ძველი სახელწოდების აღდგენის ან გადარქმევის შესახებ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობზე სათანადო ოქმის გაფორმებით აცნობოს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას.

9. საკრებულოს კომისია, სახელდების საკითხს განიხილავს კომისიის სხდომაზე. ერთ კონკრეტულ საკითხზე შეიძლება ჩატარდეს საკრებულოს კომისიის რამდენიმე სხდომა. ასეთ შემთხვევაში საკრებულოს კომისია თავის დასკვნას ადგენს ბოლო სხდომაზე. საკრებულოს კომისია ვალდებულია საკითხი განიხილოს და შესაბამისი დასკვნა შეადგინოს საკითხის მისთვის დადგენილი წესით გადაცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

10. საკრებულოს კომისიაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობენ და შესაბამის რეკომენდაციებსა და კონსულტაციებს უწევენ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების, ასევე კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების წარმომადგენლები, აგრეთვე სახელის მისანიჭებელი გეოგრაფიული ობიექტის ტერიტორიაზე მცხოვრებთა წარმომადგენელი (წარმომადგენლობა დადასტურებულ უნდა იქნეს ტერიტორიაზე მცხოვრებთა არანაკლებ 20 პირის ხელმოწერით), რომლებსაც საკრებულოს ბიუროსთან კონსულტაციების შემდეგ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საფუძველზე, ყოველ კონკრეტულ საკითხზე საკრებულოს კომისიაში სამუშაოდ, ანაზღაურების გარეშე, მათივე თანხმობით მოიწვევს კომისიის თავმჯდომარე.

11. საკრებულოს კომისიის სხდომაზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, დგება სხდომის

ოქმი, რომელშიც სხვა შესაბამის საკითხებთან ერთად აისახება კომისიის წევრებისა და კომისიაში მოწვეული პირების მიერ განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოთქმული მოსაზრებები, შეხედულებები და კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებები. კომისიის დასკვნის მიღების დროს გამართულ კენჭისყრაში მონაწილეობას ღებულობენ მხოლოდ კომისიის თავმჯდომარე და საკრებულოს ის წევრები, რომლებიც არიან ამ კომისიის შემადგენლობაში.

12. კომისია საკითხის შესწავლისა და განხილვის შემდეგ ადგენს დასაბუთებულ დასკვნას კონკრეტული სახელდების მიზანშეწონილობის თაობაზე.

13. კომისიის დადებითი დასკვნა წარედგინება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელიც გეოგრაფიული ობიექტის სახელდების საკითხის შესახებ მიმართვას შესათანხმებლად უგზავნის გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიას.

14. სამთავრობო კომისიიდან თანხმობის მიღების შემთხვევაში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო, განკარგულების სახით იღებს გადაწყვეტილებას გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ. საკრებულო ვალდებულია, განკარგულებაში მიუთითოს გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდების შემოკლებული ვერსია, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

15. კომისიის მიერ უარყოფითი დასკვნის მიღების, ასევე სამთავრობო კომისიის მიერ საკრებულოსათვის თანხმობის მიცემაზე უარის თქმის (უარყოფითი დასკვნის შედგენის) შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში, თუ საკრებულოს სხდომაზე საკითხის კენჭისყრის დროს იგიუარყოფითად იქნა გადაწყვეტილი, მიმართვის ავტორს ეცნობება საკრებულოს თავმჯდომარის წერილით.

16 . მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული შესაბამისი სამართლებრივი აქტი, განსაზღვრულ დოკუმენტებთან ერთად, მიღებიდან 10 დღის ვადაში ეგზავნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, მონაცემთა ბაზაში ცვლილებების შეტანის მიზნით, აგრეთვე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

17. მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილება, გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ, ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე, მისი მიღებიდან 10 დღის ვადაში.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე